აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ, სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის

ოქმი №2

აბაშა, 2025 წლის 13 ნოემბერი

სხდომის ადგილი: აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ადმინისტრაციული შენობა

სხდომა დაიწყო: 14:30 საათზე.

სხდომას თავმჯდომარეობდა: აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ, სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე დავით ცანავა.

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები: ზეზვა მაკალათია, მამუკა კვიტაშვილი, ვლადიმერ ავალიანი, მეგული ჩოჩია, მურთაზ ჯალაღონია და დიმიტრი ვერულაშვილი.

დღის წესრიგი:

1. აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აგრარულ და მიწის საკითხთა კომისიის შემადგენლობაში წევრად მიღების შესახებ საკრებულოს უფრაქციო წევრის კოკი ჩაჩავას განცხადების განხილვის თაობაზე.

მომხს. დ. ცანავა

კომისიამ კენჭი უყარა დღის წესრიგს (მომხრე - 7; წინააღმდეგი -0) და განაგრძო მუშაობა წარმოდგენილი დღის წესრიგის შესაბამისად.

მოისმინეს:

აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აგრარულ და მიწის საკითხთა კომისიის შემადგენლობაში წევრად მიღების შესახებ საკრებულოს უფრაქციო წევრის კოკი ჩაჩავას განცხადების განხილვის თაობაზე.

მომხს. დ. ცანავა

მომხსენებელმა დ. ცანავამ განმარტა, რომ საკრებულოს უფრაქციო წევრმა კოკი ჩაჩავამ პირადი განცხადებით მიმართა აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აგრარულ და მიწის საკითხთა კომისიის შემადგენლობაში წევრად მიღების შესახებ.

აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიის წევრთა რაოდენობისა და პროპორციული წარმომადგენლობის კვოტების განსაზღვრისა და დამტკიცების შესახებ აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 30 ოქტომბრის N65 განკარგულებით უფრაქციო წევრებისთვის აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აგრარულ და მიწის საკითხთა კომისიაში გათვალისწინებულია ერთი ადგილი.

დადგენილი კვოტის შესაბამისად, კოკი ჩაჩავას განცხადება უნდა დაკმაყოფილდეს.

კოკი ჩაჩავა აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აგრარულ და მიწის საკითხთა კომისიაში დანიშნულად მიიჩნევა აღნიშნული ფაქტის საკრებულოს ბიუროს მიერ ცნობად მიღების მომენტიდან, შესაბამისად, საკრებულოს ბიურომ ცნობად უნდა მიიღოს აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აგრარულ და მიწის საკითხთა კომისიის შემადგენლობაში შეტანილი ცვლილება.

კომისიის წევრებმა იმსჯელეს აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით და ჩატარებული კენჭისყრის შედეგად (მომხრე - 7; წინააღმდეგი -0)

აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ, სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიამ

დაადგინა:

აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აგრარულ და მიწის საკითხთა კომისიის შემადგენლობაში შეტანილი ცვლილების ცნობად მიღების შესახებ საკითხი შეტანილ უნდა იქნეს საკრებულოს ბიუროს დღის წესრიგში.

აბაშის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ, სამანდატო,

საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე: დ. ცანავა